ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲝᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1920 — 1978

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ ᲡᲐᲛᲨᲐᲒᲐᲗᲘ 22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1978 Წ. ☐ № 197 (17241) ☐ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲔᲢᲘ ᲭᲐᲠᲑᲐᲚᲘ — ᲡᲐᲛᲭᲝᲖᲠᲝᲡ!

ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲘᲐᲛᲞᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲭᲐᲠᲑᲚᲔᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ

რესპუბლიკის მეჭარხლეები დიდი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წერილს ვინიცის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეებისა და შაქრის ჭარხნის მუშაკებისადმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და იამპოლის რაიონის მეჭარხლეთა და შაქრის ჭარხნის მშრომელთა თაოსნობას შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის. ხაჭათველოს მეჭარხლეობის რაიონების მშრომელები მხურვალედ იწონებენ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს მხარს უჭერენ იამპოლელ მეჭარხლეთა თაოსნობას შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მისალებად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებაში ნათქვამია: „ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲛᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲯᲐᲛᲔᲚ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ“.

ლ. ი. ბრეჟნევის ამ მითითებით აღფრთოვანებული რესპუბლიკის მეჭარხლეები გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲒᲗ

დიდი ინტერესით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელმაც მოიწონა ვინიცის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეთა და შაქრის ჭარხნის მუშაკთა ინიციატივა, მათდამი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდი გულთბილობითა და გულოთდობით გამსჭვალულ წერილს.

ეს მასალები, რომლებშიც დიადად არის დაფასებული მეჭარხლეთა შრომა, ჩვენი კოლეგურნეობის თითოეული მშრომელის გულს აღავსებს სიხარულით, უნირგავს სურვილს იმუშაონ უკეთესად. ჩვენ ერთხელ კიდევ დავთვალიერეთ პლანტაციები და განვსაზღვრეთ, რომ საშუალოდ ჰექტარზე შევძლებთ მოვიწყოთ 500 ცენტნერი ჭარხალი დაგეგმილი 300 ცენტნერის ნაცვლად. გ. ხატისკაცის ბრიგადა ვალდებულებას კისრულობს ჰექტარზე აიღოს 600 ცენტნერი ჭარხალი. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მივაღწიოთ 1500 ტონა შაქრის ჭარხალს. მოსავლის აღებაზე იპატოვოელთა მეთოდით იმუშავებს სამი მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო რგოლი. მთელ ამ სამუშაოს დავამთავრებთ 7-8 დღეში, უზრუნველყოფთ ნედლეულის შეუფერხებელ ტრანსპორტირებას საქართველოს შაქრის კომბინატში.

Ა. ᲒᲣᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
კახპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. (საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

გ. სანაშვილმა დუშეთის რაიონის ბახალეთის კოლმეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 23 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ვ. კობაშვილმა მჭადიჯვრის კოლმეურნეობაში გუშინ 9 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და თითოეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მ. მამედოვმა გარდაბნის რაიონის ჯანდარის საბჭოთა მეურნეობაში 11 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და თითოეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲛᲝᲭᲥᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ

ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1978 Წ. № 197 (17241) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

512.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲗᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

● ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 88 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ — ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ 60 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ, ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝᲓᲐᲜ 28 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ

— ᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚᲘ მეგანახეები რაიონის კომუნისტების მეთაურობით მთელ წელიწადს ვენახებში თავდადებული შრომის მაგალითებს გვიჩვენებდნენ. მიზერები თითოეულ ვაზს მართლაც შვილივით უვლიდნენ, გამოცდილებას, ენერგიას არ იშურებდნენ, რომ უხვი მოსავალი მიეღოთ. ვაზის სიყვარულმა და ძალ-ღონის დაუზოგავად შრომამ დიდი ნაყოფი გამოიღო, მოვლილი და ნაპატრონევი, მტევნებით დახუნძლული ზვრები ახლა თვალსა და გულს ახარებს. ამ საქმეში თავიანთი მაორგანიზებელი სიტყვა თქვეს პირველადმა პარტიულმა, ორგანიზაციებმა. სწორედ კომუნისტები მეგანახეები ყველნ შრომის ავანგარდში. ამ დღეებში მათ ერთხელ კიდევ დავთვალიერეს ვენახები და დარწმუნდნენ, რომ **ᲒᲔᲒᲛᲐᲨᲘ ᲣᲗᲣᲗᲣᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲡᲐᲮᲚᲔᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲛᲘᲰᲧᲔᲓᲘᲐᲜ 88.000 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 60.000 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲗᲘᲗᲝᲛ 28.000 ᲢᲝᲜᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ.**

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები საგულდაგულოდ ემზადებიან რთვლის ორგანიზებულად, მოკლე დროში დამთავრებისათვის. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა წლეულს დიდძალ ყურძენს მიჰყიდის სახელმწიფოს. **ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ** 7.500 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲘᲡ, ᲒᲐᲖᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — 6.400 ᲢᲝᲜᲐᲡ, ᲩᲣᲛᲚᲐᲕᲘᲡᲐ — 6.000 ᲢᲝᲜᲐᲡ, ᲛᲣᲨᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — 4.500 ᲢᲝᲜᲐᲡ, ᲕᲔᲚᲘᲩᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — 4.400 ᲢᲝᲜᲐᲡ, ᲪᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲠᲒᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — 3.450 ᲢᲝᲜᲐᲡ, ᲭᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — 3.400 ᲢᲝᲜᲐᲡ, ᲨᲐᲨᲘᲐᲜᲘᲡᲐ — 3.200 ᲢᲝᲜᲐᲡ, ᲙᲐᲯᲠᲘᲗᲘᲡᲐ — 2.400 ᲢᲝᲜᲐᲡ.

წლევანდელმა დაგვიანებულმა გაზაფხულმა და ზაფხულმა, ავრეთვე ავდარმა ლიდი ზიანი მიაყენა ზვრებს, მაგრამ გულგაბეჭდილმა შრომამ ყველაფერს სძლია. ამისდაი ასეთმა ცვალებადობამ რთვლის ვადები რა თქმა უნდა, გადასწია, ჩვეულებრივთან შედარებთ ყურძნის კრეფა დაგვიანებით დაიწყება. სწორედ ამიტომ პირველად პარტიული ორგანიზაციები, სოფლის აქტივი მზად არიან, სათავეში ჩაუდგნენ რთვლის შეუფერხებლად, მოკლე დროში დამთავრებას. რა თქმა უნდა, ეს იოლი არ არის, მაგრამ შეუძლებელი უნდა შევძლოთ. რთველი უდანაკარგოდ უნდა დავამთავროთ.

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲛᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲚᲐ ᲓᲒᲘᲜᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲜᲐ. ᲭᲐᲠᲮᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲓ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ

ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲛᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜ

მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოწყობილობა

„იმისათვის, რომ წარმატებით გადავწყვიტოთ ჩვენის წინაშე მდგომი მრავალფეროვანი ეკონომიკური და სოციალური ამოცანები, — თქვა კპარტიის XXV ყრილობაზე გაკეთებულ სანგბაოიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ერთადერთი გზაა სწრაფად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება. მკვეთრად ავამაღლოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ეფექტიანობისათვის მთავარი უურადღება დამოკიდებულ — და ამაზე კვლავ გვინდა გვიჩვენებდეს ლაპარაკი — მთელი ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია“.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარებისათვის, მოქმედთა კამოყენების გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ წლებში, სამრეწველო მოწყობილობის სიმძლავრეთა ზრდასთან ერთად, მისი გამოყენების კოეფიციენტიც ამაღლებულ. 1977 წელს ამ კოეფიციენტმა შეადგინა: ლითონდამუშავების საწარმოებში — 81.9 პროცენტი, მანქანათმშენებლობის საწარმოებში — 92.9 პროცენტი. ამასთან 1978 წლისათვის მოსალოდნელია გაიზარდოს 93,2 პროცენტამდე.

მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა ცალკეული საწარმოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში 1974-1975 წლებში ამუშავდა პროდუქციის წარმოების ახალი სიმძლავრეები. 1977 წელს კი ნორმატიული გათვალისწინებული 87 პროცენტის ნაცვლად სიმძლავრეთა მხოლოდ 74 პროცენტია ათვისებული. ნორმატიული გათვალისწინებული დონის მიღწევა საწარმოს საშუალებას მისცემდა დამატებით გამოეშვა დაახლოებით 500 ელექტროენერგია, ანუ 1.8 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. 1978 წლის გეგმით ქარხანამ 11.5 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია უნდა გამოუშვას. ამასთან სიმძლავრეთა ათვისების ხარისხი არ გადააჭარბებს 81 პროცენტს, ნორმით კი გათვალისწინებულია 100 პროცენტი. ქარხანას რომ სიმძლავრეთა ათვისება 95 პროცენტამდე გაეზარდა, იგი დამატებით დაახლოებით ორი მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებდა.

რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში 1969 წლიდან — მისი ამოქმედების დღიდან, იმის გამო, რომ არ ჰყოფნით შუშა ხელი, იბარებენ დაუმთავრებელ საწარმოო უბნებსა და შეცდომებს უშვებენ ცალკეული კვანძებისა და საამქროების დაპროექტებაში. სისტემატურად ვერ უზრუნველყოფენ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიულ ადგილს. მაგალითად, 1977 წელს ქარხნის სიმძლავრეები ათვისებული იყო მხოლოდ 65 პროცენტით ნორმატივით გათვალისწინებული 90 პროცენტის ნაცვლად. ამის შედეგად ქვეყანას დაეკარგა 10 ათასი ტონა თუჯის სხმული. ამის მიზეზი ქარხნის მუშაობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებებთან ერთად არის ჰიდროაპარატურის საამქროს მოცდენა, რომლის სიმძლავრე ცხრა ათასი ტონაა. იგი 1976 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ დაუმთავრებელი სახით.

საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების დაბალი მაჩვენებლებია ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაშიც. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საწარმო საკმარისად არ არის დატვირთული. ქარხანა ამზადებს ავტოსაწევრების საუნაგრე მოწყობილობას, ტრაქტორების უნიფიცირებულ ხიდებს, თვითმავალ შასიებს, რომელთა გამოშვებას აფერხებს მომხმარებელი ქარხნების წარმოების მოცულობა, ხოლო ტრაქტორი „რიონი“ და მისი მისაბმელი ბარაღი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რაც ზღუდავს მათ გასაღებას.

საწარმოსათვის აუცილებელია პროდუქციის გაჯანსაღების ფორსირება, და ამავე დროს მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმ ახალი ტრაქტორის ათვისებას, რომელსაც მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში აპროექტებენ.

რესპუბლიკის 32 საწარმოდან. სადაც სიმძლავრეები უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ამოქმედდა, 19 საწარმოში სიმძლავრეები მოქმედი ნორმატივების შესაბამისად ვერ ათვისეს.

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშაობის მთელ რიგ საწარმოებში არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვებია, ეინაიდან, მაგალითად, 1977 წელს ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში მათი გამოყენების კოეფიციენტმა შეადგინა 86,4 პროცენტი, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“ ქარხანაში — 85 პროცენტი, სამიცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ — 83,9 პროცენტი, საწარმოო გაერთიანება „საქლვინო მანქანაში“— 82 პროცენტი.

მოწყობილობის დატვირთვის გადიდება ძირითადი რეზერვია, რომლის ამოქმედება საწარმოებს საშუალებას მისცემს უფრო სრულად გამოიყენონ სიმძლავრეები. 1977 წელს საქართველოს მანქანათმშენებლობის საწარმოებში საერთოდ ლითონდამუშაებელი მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი იყო 1.25, რაც არა მარტო ანალოგიურ საერთო საკავშირო მაჩვენებლებზე — 1.43-ზე, არამედ სოხუმისა და აზერბაიჯანის მონათესავე საწარმოების მაჩვენებლებზე — შესაბამისად 1,34 და 1,41-ზე — ნაკლებია არის.

უკვე 15 წელია ლითონდამუშავებელი ჩარხებისა და მანქანების რაოდენობა თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად ზრდება, ვიდრე მეჩარხეთა რიცხვი. ეს ხშირად მოწყობილობის ნაწილების უმოქმედობის გასამართლებელ საბუთად მოაქვთ.

მაგრამ საწარმოო საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მან წილ მანქანათმშენებელ და ლითონდამუშავებელ საწარმოებში არ იყენებენ მეჩარხეთა რიგების შეესებრ დიდ რეზერვებს. პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ნაკლებად ნაყოფიერ ხელის შრომას ეწევა. მისი მექანიზაცია კი ხელს შეუწყობს ათასობით მუშა ხელის გამოთავისუფლებასა და ძირითად წარმოებაში მათს გამოყენებას.

მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესების ახალი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია კვირის მანძილზე მისი მთლიანად დატვირთვა.

როგორ მიმდინარეობს ამჟამად მოწყობილობის დატვირთვა? მოწყობილობა ყოველ მესამე დღეს ცდება. როგორც ჩანს, მრეწველობის მუშაკებისათვის საკმარია უფრო ფართოდ შემოვიღოთ განუწყვეტელი კვირა დასვენების დღეების ცვლებად გრაფიკებით.

ასეთი წმინდა შიდაორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება საკმაოდ ხელმისაწვდომია ყოველი შრომითი კოლექტივისათვის. მათი არსებითი საკმაოდ მდიდარი და პრაქტიკით შემოწმებულია. რასაკვირველია, მეორე და მესამე ცვლების შექმნა, კვირის მანძილზე მოწყობილობის მუშაობის უწყვეტი ციკლის შემოღება მოითხოვს დამატებითი მუშახელის გამოყენებას. ამიტომ საჭიროა მოწინავე ტექნიკითა და სხვა საწარმოო ფონდებით აღჭურვოთ რესპუბლიკის მთისა და სოფლის რაიონებში მდებარე საწარმოები, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ადგილობრივი შრომითი რესურსები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდებისა და სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების ისეთი დიდმნიშვნელოვანი მომენტები. როგორიც არის მრავალი ჩარხის მომსახურება და მუშების მიერ მომიჯნავე პროფესიების ათვისება.

არაერის არ უპარება ეჭვი ამ საკითხის დიდ მნიშვნელობაში, მაგრამ. სამწუხაროდ, ცოტა გვყავს ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ამას სათანადო ყურადღებას უთმობდნენ.

შარშან 35 მანქანათმშენებელ და ლითონდამუშავებელ საწარმოში ჩატარდა მოწყობილობის გამოყენების ერთდროული აღრიცხვა. აღმოჩნდა, რომ შემოწმების დღეს ფაქტიურად ჩარხების საერთო რიცხვის 85 პროცენტი მუშაობდა. ამასთან დროის ფონდის გამოყენებამ შეადგინა ნამუშევარი ჩარხ-ცვლების 89 პროცენტი, ცვლების შიდა მოცდენამ — 11 პროცენტი. რაც წარმოების ზუსტი ორგანიზაციის შემთხვევაში შეიძლება არ ყოფილიყო.

სათანადო დონეზე არ დგას აგრეთვე სამუშაო ადგილების სარემონტო მომსახურება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. ცვლებსშიდა მოცდენის 75 პროცენტი მოდიოდა მოწყობილობის უწესივრობასა და რემონტზე, მის გამართვაზე, ნედლეულის, მასალების, ნამზადების, დეტალების, ინსტრუმენტების, სამარჯვების, ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლობაზე.

სწორედ სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესება, მოწყობილობის დატვირთვის ზრდა არის საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის კურსი, რომლის შედეგია წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლის — ფონდუკუთვნების გადიდება.

როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, მარტო რესპუბლიკის მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში ფონდების უკუგების მატების ყოველი კაპიკი დამატებით იძლევა 8 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქციას, მთლიანად წარმოებაში კი 50 მილიონი მანეთის პროდუქციას. მაშასადამე, რაც მატება ფონდუკუთვნებაში, მით მეტი იქნება პროდუქციის მატება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და სიმძლავრეების მოცემული მოცულობის პირობებში, მით უფრო მეტ დამატებით რესურსებს მიიღებს ქვეყნის სახალხო მეურნეობა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებაში შარშან ძირითადი ფონდების თითოეული მანეთის უკუგება 1976 წელთან შედარებით 3,3 პროცენტით გაიზარდა, მისი შემდგომი ზრდის რეზერვები კი ფრაზად მნიშვნელოვანია.

გასაგებია, რომ მრეწველობაში ფონდუკუგების გაზრდა ძნელი ამოცანაა, მაგრამ მისი შესრულება შეიძლება. და თუმცა მის გადაწყვეტას მრავალი ობიექტური მიზეზი აძნელებს, სოციალისტური დაგეგმვა გათვალისწინების პასიური პროცესი კი არა, აქტიური საქმიანობაა.

თავის მხრივ რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი და ლითონდამუშაებელი საწარმოების კოლექტივებმა უნდა დაძლიონ საწარმოო სიმძლავრეებისა და მოწყობილობის გამოყენებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი. მხოლოო ამ პირობით შეგვიძლია უზრუნველყოთ განნილული მაჩვენებლების გეგმაზომიერი გადიდების რეალური შესაძლებლობა.

(საქინფორმი).

ხორცი შევასხათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს

ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე, რომელიც შესანიშნავად არის მოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებში, მიტად მასშტაბური და ყოვლისმომცველია. იგი მოითხოვს განსაკუთრებულ საზრიანობას, შინაპარტიული მუშაობის სანმუშო ორგანიზაციას, ყველგან — ყველა უბანსა და ყველა რგოლში დისციპლინისა და მომთხოვნელობის გაძლიერებას, მშრომელთა ინიციატივისა — და აქტიურობის შემდგომ განვითარებას.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპის სადღეისო ამოცანამ, რომელიც კიდევ უფრო დააკონკრეტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა, ჩვენი საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, მის პარტიულ კომიტეტს ნათლად განუსაზღვრა ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესების გზები.

უპირველეს ყოვლისა, ფართოდ გავაჩაღოთ ივლისის პლენუმის მასალების პროპაგანდა. განყოფილებებში, ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში, სწორედ იქ, სადაც 7.000 ტონა ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ბედი წყდება, 50 აგიტატორი და პოლიტინფორმატორი ერმად აკინბერ შრომელებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას ივლისის პლენუმზე, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთორმეტე პლენუმის მასალებს, ჩვენი წინსვლის ამოცანებს.

ბოლნისის მეკვინახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც ბოლო წლებში პარტიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის ჯარგი გამოცდილება შეიძინა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მითითებათა მიხედვით კიდევაც ახალი შრომითი აღმავლობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის დარაზმა მეკვინახეთა. მეცხოველეთა და მექანიზატორთა 1300-კაციანი კოლექტივი, რომლის ავანგარდში სამასზე მეტი კომუნისტი დგას.

სწორედ კომუნისტთა მეცადინეობით შესაძლებელი გახდა, რომ ადრე ჩამორჩენილი და წამგებიანი მეურნეობა მილიონერთა რიგებში ჩამდგარიყო. აი ზოგიერთი მაგალითიც: წინა წლებში საბჭოთა მეურნეობა მცირე მოცულობით ჩრავალ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურასა და მეცხოველეობის პროდუქტებს აწარმოებდა. დაქსაქსული ჰქონდა საწარმოო ძალები და საშუალებები

წლები და მილიონები

კომუნისტთა პასუხი — პრაქტიკული საქმე

ვია ჩვენი მეურნეობის კოლექტივს. უკანასკნელ ორ წელიწადში 2400 ტონით გაზარდა ყურძნის საერთო მოსავალი, 91 ტონით — რძის ჩაბარება, 107 ცენტნერით — ხორცისა, 350 ტონით — ხილისა, 250 ტონით — მარცვლეულისა და ა. შ.

ტემპი არც წლეულს შეგვიწყვეტია. წინასწარი შედეგებით ბევრად ეუსწრებთ 1977 წელს. თუ შარშან ამ დროისათვის 825 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გვყავდა, დღეისათვის 895 სული გვყავს, ძროხა 272-ის ნაცვლად 332 სული გვყავს, 314 ტონის ნაცვლად წარმოებულია 420 ტონა რძე, 597 ცენტნერის ნაცვლად ჩაბარებულია 680 ცენტნერი ხორცი, შესრულებულია 1200 ტონა მარცვლის ჩაბარების გეგმაც, გადაჭარბებით გავაღიდეთ 38 ცენტნერი აბრეშუმის პარკის დამზადების დავალება.

წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის შედეგად, რასაც მეურნეობის კომუნისტების აქტიური მონაწილეობით მივაღწიეთ, ჩვენი საბჭოთა მეურნეობა მეკვინახეობის ერთადერთი სპეციალიზებული მეურნეობაა რაიონში. აქ ყურძნის წარმოებასთან ერთად სთანადო დონეზეა მეხილეობა და პარალელურად წარმატებით ვითარდება მეცხოველეობა. სპეციალიზაციამ და წარმოების კონცენტრაციამ საშუალება მოგვცა ზვრებში, რომელსაც 1153 ჰექტარი ფართობი უკავია, ფართოდ ოაგვენერგა თანამედროვე ტექნიკა. მასობრივად ვიყენებთ მექანიკურ სათოხარებს, ვაზის გადასაწვენ, შესაწამლ, ბოძის ღასასობ და გოგირდის შესაფრქვევ აგრეგატებსა და მრავალ სხვა მექანიზმს. ეს კი ერთთრად ამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და ათასობით მეკვინახეს ათავისუფლებს მძიმე ფიზიკური შრომისაგან. საგრძნობლად გაიზარდა შემოსავალი, 1977 წელს 4 მილიონ მანეთს გადააჭარბა და წმინდა მოგებამ 1.177 ათასი მანეთი შეადგინა.

მეკვინახეობის განვითარების პრობლემები ჩვენი კომუნისტების, ყველა მეზვრის საზრუნავია. მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, არა გვაქვს უფლება თვითდამშვიდებას მიეცეთ, მიღწეულით დავკმაყოფილდეთ და უფრო უკეთესი მოსავლის მისაღებად არ ეძებოთ ახალი რეზერვები. ამ ძიებას სათავეში უდგას და წარმართავს პარტიული ორგანიზაცია. მოვიყვანთ ასეთ ფაქტს: მეურნეობის პირველმა განყოფილებამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი კომუნისტი ა. ყიფიანი ხელმძღვანელობს, შარშან ჰექტარზე საშუალოდ 83 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა და 1806 ტონა მოსავალი ჩაბარა. დანარჩენი განყოფილებები რომ გასწორებოდნენ ამ უბანს, მაშინ მეურნეობა დამატებით 1900 ტონა ყურძენს აწარმოებდა.

პარტიული ორგანიზაციის ამოცანა ის იყო, რომ ფართოდ გაავრცელებინა პირველი განყოფილების გამოცდილება და ყველას კუთვნილებად ექცია იგი. ასეც მოვექეცით. პარტიულმა კომიტეტმა შეისწავლა ამ განყოფილების მიერ სტაბილური უხვი მოსავლის მიღების გამოცდილება, განაზოგადა იგი და დაავალა განყოფილებათა პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ გაავრცელებინათ მაღალი მოსავლის ოსტატთა შრომის ხერხები და მეთოდები.

როცა მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის საბჭოთა მეურნეობის სპეციალიზაციაზე ელაპარაკობთ, რომლის მეცნიერულად დასაბუთებული ერცელი პროგრამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა დაგვისახა, ბევრი რამ ახლებურად, შემოქმედებითად უნდა გავიაზროთ, უფრო გონივრულად და ღრმად მივუდგეთ მას, ფართოდ დავუჭიროთ მხარი მასების აქტიურობას.

როცა ერთ-ერთ პარტიულ კომიტეტის სხდომაზე მეცხოველეობის ფერმების მუშაობის სამი თვის შედეგებს ვიხილავდით, მოწინავე მუკელავმა, ორდენოსანმა ნინო ინაძემ ზოოვეტსპეციალისტებს უსაყვედურა, რომ ისინი არაფვენენ ზოოვეტმომსახურების წესებს. მან გაგვაფრთხილა, რომ ამას ბერწიანობა მოჰყვება, რაც თავის მხრივ შემდგომში უარყოფით გავლენას მოახდენს პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმის შესრულებაზეო. თუმცა თვითონ იგი დაკალებებს მუდამ დიდი გადაჭარბებით ანაღდებს, მაგრამ კომუნისტს აწუხებდა საზოგადოებრივი მეურნეობის ბედი, მისი ხვალინდელი მდგომარეობა. პარტიულმა კომიტეტმა ყურად იღო მისი შენიშვნა, დაინტერესდა საქმის ვითარებით, რაიონის სპეციალისტთა დახმარებით დასახა და განახორციელა საჭირო ღონისძიებანი. ახლა მდგომარეობა ამ მხრივ მთლიანად გამოსწორებულია.

როგორც ვთქვით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმებმა საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს ახალი მოძრაობი დაგვისახა. ამ ისტორიული მოვლენის შუქზე ჩვენ ანალიზს ვუკეთებთ მდგომარეობას, ვითვალისწინებთ პერსპექტივებს, ვეძებთ ახალ რეზერვებს, რომ კვლავაც ინტენსიურად განვავითაროთ მეკვინახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა.

დასახული გეგმების განხორციელებისათვის კი აუცილებელია დროულად დამთავრდეს 400 ძროხისათვის გათვალისწინებული, ადრე დაწყებული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც დაფინანსების უქონლობის გამო ჭიანურდება. ეს საშუალებას მოგვცემს მეტი მაღალპროდუქტიული მეწველი პირუტყვი ვიყოლიოთ და თითოეული ძროხის საშუალო წველადობა 2215 კილოგრამიდან უახლოეს დროში 3000 ლიტრამდე გავზარდოთ.

ასევე უნდა დაჩქარდეს ზედაარხის რეკონსტრუქცია, რომელიც დამატებით ასობით ჰექტარ მიწას გაასარწყავებს, ამით ჩვენ შეგძლებთ 1500 ჰექტარამდე გავადიდოთ ზვრები, ხოლო 300 ჰექტარამდე — ხეხილის ბაღები. ამასთან ერთად შესაძლებლობა მოგვეცემა მკვეთრად ავამაღლოთ მარცვლეულის წარმოების დონე და უფრო მეტად განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა.

ზ. წაქაძე,
ბოლნისის მეკვინახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

კრიტიკით განაწყენებული

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი

ასეთი სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი კომენტარით, რომელშიც ლაპარაკი იყო ზოგიერთი ხელმძღვანელის — რეინგზის ხრესილის სადგურის უფროსის შ. ოჩიგავას და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. ობოლაძის არასწორ მოქმედებაზე.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ორჯონიკიძემ გვაცნობა, რომ წერილში დასახელებულ პირთა მიმართ სახალხო-კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა მიიღო საჭირო ზომები. რაც შეეხება ხრესილის სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. ობოლაძის უმოქმედობას, ამაზე იმსჯელა ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და გ. ობოლაძეს მკაცრად მოსთხოვა სახოფლო საბჭოში შეხული ხიანლის არაობიექტური შესწავლისათვის, ამასთან დაავალა მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შემოსულ განცხადებათა დროულ და ობიექტურ შემოწმებას.

ვინ უწყობს ხელს ქორვაჭრეებს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომი

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში „ვინ უწყობს ხელს ქორვაჭრებს“ მოყვანილი იყო ქორვაჭრობის ფაქტები. ამის გამო პარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანი ო. გუნთაიშვილი გვწერს:

— ქობულეთის ხადგურისა და ბაზრის ტერიტორიაზე რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ მოაწყო რეიდები. გამოვლინდნენ ქორვაჭრები დ. ასლანოვი, ზ. დუმალი და ლ. უმეროვი. ისინი გაასამართლეს წვრილმანი სპეკულაციისათვის.

თავის მხრივ ქობულეთის კურორტვაჭრობის დირექციამ აღნიშნული საკითხი განიხილა დანაშაულის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების კომისიის სხდომაზე. კურორტვაჭრობის საწყობის გამგე თ. ხინიკაძე დირექციის მიუთითებლად ლითონის ხუფების გაცვლისათვის განთავისუფლებულია სამუშაოდან. დაისახა ღონისძიებები ამგვარი ფაქტების აღსაკვეთად.

ალიბარელთა გასაჭირი

როცა ეკონომიკური მაჩვენებლები არ აინტერესებთ

ზნაურის საბჭოთა მეურნეობის ალიბარის მეცხოველეობის ფერმაში დიდი სიბინძურეა, წლობით დაგროვილი ნაკელის გორები აწუხებს სოფელს, ანტისანიტარიის ბუდედ იქცა. გაზაფხულობით ნაკელის დიდი ჩვენს კარმიდამოში მოაქვს ნიალვარს, ზაფხულობით კი ქოლო-ბუზებს გავრცელების ერეა. პატივცემული რედაქციავ, გთხოვთ მოგვხედოთ.
მეურნეობის მუშა ნ. ცხოვრებოვი.

სერიოზული სიგნალი იყო და ყურადღებას ითხოვდა...

სოფელი ალიბარი ზედ აკრავს ზნაურის რაიონულ ცენტრს. გორაკზე შეფენილ ამ პატარა სოფელში ქართველები და ოსები უძველესი დროიდან ძმურად და მეგობრულად ცხოვრობენ. ალიბარი მეცხოველეობის ფერმა აღრე „მოწინავე“ იყო, ბოლო ხანებში კი ჩამორჩა. პირუტყვს მზრუნველი ხელი მოაკლდა, და განა მარტო პირუტყვს, მთელ სოფელს. საზოგადოებრივი მეცხოველეობის სამი ბოსელი უპატრონობით პატარდება.

როცა წვიმს, დაბლობში მდგარი ბოსელი წუხწუხს ცორავს, — „გვითხრა ფერმის ბრიგადირმა ზ. იანტბელიძემ.

ეს გაზვიადებული ნათქვამი არ არის. ირგვლივ წლობით გაუტანელი ნაკელის გორებია. მინდორს ნაკელი სჭირდება, იქ კი სოფელი აამყარალ.

— იმ დღეს კოკისპირულად წვიმდა. ცხოვრებაანთგან ქალის კვილი მოისმა — გვიშველეთო! გავიქეცით ბიეზე, რას ვხედავთ, ნაკელის ნიალვარი მიწყდომია მათ სახლს. კაცი შინ არ იყო, და შეშინდა ქალი. წუნწუხის ნიალვარს გზა გადავუშვირეთ. ასეა ყოველთვის, როცა წვიმს, დიდ გასაჭირში ვრჩებ. — ამბობს ალიბარელი გ. შიუკაევი.

ალიბარის მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირ ზ. იანტბელიძესთან და მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოს ფ. სიუკაევთან ერთად ბოსლებს ვათვალიერებთ. აქ დიდი ხნის დატკეპნილი ნაკელია; საწუწუხეები შესაკეთებელია; ბაგები ალაგ-ალაგ ჩატეხილია, სავალ ნაწილზე უსუფთაობის გამო გავლა ჭირს. აქ არ არის ბაგური კვების ელემენტარული პირობები. ბოსლებში ვირთხები დათარეშობენ; ნიალდება კომბინირებული საკვები; მრავალდება მღრღნელები. ეს მწველავ ქალებს ერთ დროს აშინებდა, ახლა კი ალარ შფოთავენ, თუმცა ყველაფერს მიჩვეულა სკორონი.

მწყემს-მწველავთა შორის იდეოლოგიური მუშაობა თავმინებებულია, პარტიული კომიტეტი (მდივანი — გ. ნადირაძე) კი გულმშვიდად არის. მეცხოველეთა მოსახურეობაც არავის აწუხებს, არც სპეციალისტებს ზრუნავენ. ცხადია, ასეთ ვითარებაში ძნელია რძის ხარისხზე ლაპარაკი.

შრომისმოყვარე ადამიანებს სინდისი ქენჯნით და მაინც ზრუნავენ პირუტყვზე, წველის ხარისხზე... ღღეში 126 მწველი ფურიდან 580 კილოგრამ რძეს წველიან. ხელშეწყობა რომ ჰქონდეთ, გაიზრდებოდა რძის ბაკადი...

— რი გიჯდებათ ლიტრი რძე? — ეკითხებით ფერმის ბრიგადირს.

— არ ვიცი!

— რამდენი ჩაბარეთ მაღალი ხარისხის რძე? — კვლავ დუმილი.

— თქვენ თუ იცით, — მიმართეთ მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს ფ. სიუკაევს.

— ამასაც არ იცის. აი უსულგულო მუშაობის ტიპიური მაგალითი. ადამიანებმა არ იცინ, რისთვის იღვწიან, რისთვის შრომობენ. არ აინტერესებთ მეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლები.

ზნაურის საბჭოთა მეურნეობის მესვეურები (დირექტორი — გ. თხელიძე), ჩანს, ძალზე არ ხელიან ალიბარელთა საბჭოთა ზოოტექნიკოსს ფ. სიუკაევს.

— ამასაც არ იცის. აი უსულგულო მუშაობის ტიპიური მაგალითი. ადამიანებმა არ იცინ, რისთვის იღვწიან, რისთვის შრომობენ. არ აინტერესებთ მეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლები.

ზნაურის საბჭოთა მეურნეობის მესვეურები (დირექტორი — გ. თხელიძე), ჩანს, ძალზე არ ხელიან ალიბარელთა საბჭოთა ზოოტექნიკოსს ფ. სიუკაევს. ერთად ბოსლებს ვათვალიერებთ. აქ დიდი ხნის დატკეპნილი ნაკელია; საწუწუხეები შესაკეთებელია; ბაგები ალაგ-ალაგ ჩატეხილია, სავალ ნაწილზე უსუფთაობის გამო გავლა ჭირს. აქ არ არის ბაგური კვების ელემენტარული პირობები. ბოსლებში ვირთხები დათარეშობენ; ნიალდება კომბინირებული საკვები; მრავალდება მღრღნელები. ეს მწველავ ქალებს ერთ დროს აშინებდა, ახლა კი ალარ შფოთავენ, თუმცა ყველაფერს მიჩვეულა სკორონი.

მწყემს-მწველავთა შორის იდეოლოგიური მუშაობა თავმინებებულია, პარტიული კომიტეტი (მდივანი — გ. ნადირაძე) კი გულმშვიდად არის. მეცხოველეთა მოსახურეობაც არავის აწუხებს, არც სპეციალისტებს ზრუნავენ. ცხადია, ასეთ ვითარებაში ძნელია რძის ხარისხზე ლაპარაკი.

შრომისმოყვარე ადამიანებს სინდისი ქენჯნით და მაინც ზრუნავენ პირუტყვზე, წველის ხარისხზე... ღღეში 126 მწველი ფურიდან 580 კილოგრამ რძეს წველ-

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თემატიკური საღამო

ტყიბული. ორჯონიკიძის სახელობის შუბა-მოსამსახურეებისათვის სამართლებრივი პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო მეთოდიკურმა საბჭომ ჩაატარა თემატიკური საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა შუბის პარტბიურის მდივანმა ნ. კბილაძემ. შეკრებილთა წინაშე მოხსენებები წაიკითხეს ქალაქის პროკურორმა ი. გოგატიშვილმა. შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა ა. მჭედლიძემ და პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ტ. ბრეგაძემ.

ნ. ჯინჯიხაძე.

რაიონულ ბიბლიოთეკაში

ჩხოროწყუ. საინტერესო და მრავალმხრივ მუშაობას ეწევა რაიონული ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებულია კვთილმოწყობილ ბინაში. აქ არის მნიშვნელოვანი წიგნის ფონდი, გამოფენები სხვადასხვა თემებზე, სტენდები სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების შესახებ.

თვალსაჩინო ადგილას გამოფენილია ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა“ და „აღორძინება“.

ტ. ხიფინავა.

საინტერესო შეხვედრა

ონი. თეორიულ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ ონის ცენტრალური ბიბლიოთეკის № 2 ფილიალმა მოაწყო, თავი მოიყარეს ბიბლიოფილის მკითხველებმა, სტუმრებმა. კონფერენცია მიეძღვნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების „მცირე მიწა“ და „აღორძინების“ განხილვას.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ ლ. ბერიჩევამ. წაიკითხეს მოხსენებები: „წიგნები, რომელიც ბიც ვვაასწავლის ცხოვრებას შრომას, გამარჯვებას“ და „ხალხის დიადი მატიანე, პარტიული გამოცდილების უშრეტი საგანძური“.

თეორიული კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა მცირე მიწის დამცველი, მზვერავი ილია ჩიხრაძე. სამამულო ომის ვეტერანი პიონერებმა სპატიკი პიონერად აირჩიეს და გადასცეს საჩუქარი. დასასრულ წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს“.

ლ. გიორგაშვილი.

**საერთაშორისო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ თბილის

21 აგვისტო

საერთაშორისო ცხოვრება

ქლავლია დღეს ● ქლავლია დღეს ● ქლავლია დღეს

● საკლესი
იტყობინება

საახიფათო ნაბიჯი

ვაშინგტონი, (საკლესი). დაწყებული 1972-73 წლებიდან დოლარის ყველაზე სერიოზული კრიზისი ვაშინგტონს აიძულებს გამოძებნოს ხასწრაფო ღონისძიებანი, რომელიც შეაჩერებს საერთაშორისო სავალუტო ბირჟებზე დოლარის კურსის კატასტროფულ დაცემას.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა სამეჭვმ (ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა ბანკმა) გამოაცხადა ერთ-ერთი ასეთი საგანგებო ღონისძიების შესახებ, რომელიც, ფინანსთა მინისტრის მ. ბლუმენტალის განცხადებით, რამდენიმე კვირის მანძილზე უნდა განხორციელდეს. ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებით 7,25-დან 7,75 პროცენტამდე გაიზარდა სესხის გაცემის სამანკო პროცენტის დისკონტის განაკვეთი. ამ ღონისძიებამ, რომელიც ამკაცრებს სესხის გაცემის პირობებს და „ძვირებს" მას, უნდა შეამციროს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის მოცულობა, შეანელოს ინფლაცია.

დოლარის ახლანდელი სავალალო მდგომარეობა, როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ეკონომიკურ მიმოხილველს კ. თარნსფორტს მიაჩნია, გამოწვეულია იმით, რომ „გაფრთხილების მიუხედავად, აღმინისტრაციამ ჯერჯერობით ვერ შეიფასა ინფლაციისა და სავაჭრო ბალანსის დეფიციტის საშიშროება". ინფლაციის ზრდის ტემპი ამ ბოლო დროს მატულობს, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში რამდენიმე წლის მანძილზე პირველად ცალკე გადააჭარბა 10 პროცენტს და წელიწადზე გადაანგარიშებით 10,4 პროცენტი შეადგინა.

ინფლაცია არყევს დოლარის პოზიციებს, ხოლო მისი კურსის დაცემა, თავის მხრივ, იწვევს იმპორტის გაძვირებასა და ინფლაციის გაფიდვებას.

ამრიგად, აღმინისტრაციის იმედი, რომ დოლარის კურსის დაცემით შეერთებული შტატები გამოისწორებდა თავის საგარეო სავაჭრო პოზიციებს დასავლეთ ევროპის პარტნიორებისა და იაპონიის ხარჯზე და მოსპობდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტს, არ გამართლდა.

ეკონომისტთა აზრით, დოლარის დაცემის ფაქტიურ წაქეზებაზე არანაკლებ სახიფათოა ფედერალური სარეზერვო სისტემის ახლანდელი გადაწყვეტილებაც გადიდოს დისკონტის განაკვეთები. მათი მეტისმეტი გადიდება მიჩნეულია 1974-75 წლებში ეკონომიკის მძიმე დაქვეითების ერთ-ერთ მიზეზად, არც ისე დიდი ხნის წინათ ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა სამეჭვის თავმჯდომარე უ. მილერმა აღნიშნა, რომ სამშია დისკონტის გაზრდა, რომ ასეთ ღონისძიებას შეიძლება ეკონომიკური აქტიურობის შენელება მოჰყვეს.

დამახასიათებელია, რომ ამერიკის საფონდო ბირჟამ ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებაზე რეაგირება მოახდინა დრუ-ჯონსის ინდექსის დაცემით, რომელიც აღრიცხავს ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი კორპორაციების აქციათა კურსს.

დამთავრდა რუმინეთ-ჩინეთის მოლაპარაკება

ბუქარესტიდან მიღებული ცნობების თანხმად, იქ დამთავრდა რუმინეთ-ჩინეთის ოფიციალური მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა რუმინეთში ჰუა გო-ფენის ვიზიტის ფარგლებში. გამოქვეყნდა ერთობლივი ცნობა პრესისათვის, რომლიდანაც ჩანს, რომ აზრთა გაზიარება ეხებოდა „რუმინეთ-ჩინეთის ურთიერთობის მრავალმხრივ განვითარებასა და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს".

ამ დოკუმენტში ორივე მხარე აღნიშნავს, რომ „მყაფოფილი არიან „რუმინეთ-ჩინეთის მეგობრობის" განმტკიცებითა და განვითარებით, გამოთქმულია მტკიცე გადაწყვეტილება „სულ უფრო გაფართოონ და გაღრმავონ ეს ურთიერთობა". მათ განაცხადეს, რომ მზად არიან „მოახდინონ თანამშრომლობის დეკერსიფიკაცია სახელმწიფო ხაზით, მასობრივი და სხვა ორგანიზაციების ხაზით".

ცნობაში მოლაპარაკების შესახებ არსებითი ადგილი ეთმობა ეკონომიკური, ვაჭრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა, „თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს დარგებში", დოკუმენტების კონკრეტული შინაარსი ამის თაობაზე არ არის გაშუქებული.

მოლაპარაკების დამთავრების შესახებ ცნობის ის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო საკითხებს ეხება, ყველაზე ლაკონიურია. მასში ნათქვამია, რომ „რუმინეთი და ჩინეთი ღრმად არიან დაინტერესებული" განმტკიცდეს „მსოფლიოში მშვიდობის კლიმატი", მოცემულია ზოგადი ფორმულირებანი „ხალხთა დამოუკიდებლობისათვის", „იმპერიალისტური, კოლონიალისტური და ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის შესახებ" და ა. შ.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სპოლოო ცნობაში არ არის ასახული მხარეთა პოზიციები ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიც არის დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, სოციალისტური ვიეტნამის მიმართ პეკინის შექარისა და დიქტატის შეუნიღბავი პოლიტიკა. ცნობაში არ არის აგრეთვე დებულებანი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მხარდაჭერის შესახებ.

თვალშისაცემია უამრავი ფრაზა „გულთბილი მეგობრობის, პატივისცემის, ურთიერთგაგების" ატმოსფეროს შესახებ. ყოველივე ამაზე, როგორც ჩანს, უნდა შეინიშნოს მოლაპარაკების არსი და შინაართერები. ჯერჯერობით დღემდე არ გამოქვეყნებულა აბავითარი კომენტარი მოლაპარაკების დამთავრების შესახებ, საბოლოო ცნობის შემცირებული შინაარსის გარდა.

დასავლეთის პრესა სხვადასხვანაირად განმარტავს მოლაპარაკებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩინეთის მესაზღვრეებს დამკიდრდეს ბალკანეთში, რის შესახებაც ამას წინათ წერდა ალბანეთის პრესა.

ინგლისის გაზეთი „ობსერვერი" ამასთან დაკავშირებით წერს, რომ „ღღემდე ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილმა ეთანარებამ ეს რეგიონი, რომელიც სხველი გაიოქცა მასში შენაცალ სახელმწიფოთა შორის მუდმივი კონფლიქტებით, ყოველ შემთხვევაში უზრუნველყო საზღვრების სტაბილურობით. იქ ჩამოყალიბებული წესწყობილების ყოველგვარი შეცვლა — თუნდაც საუკეთესო ზრახვებით, ჩინეთის ზრახვებს კი ასეთად ვერ მივიჩნევთ — გართულებებს გამოიწვევს. გასაკვირი არ არის, რომ რუმინელები ფარყოფენ, თითქოს რაიმე იცოდნენ პეკინურად ახალი ბალკანური ალიანსის შესახებ, და გარკვეულ ნერვულობას იჩენენ ჰუა გო-ფენის ვიზიტთან დაკავშირებით. დიპლომატიური თავაზიანობა, რომლითაც რუმინელები გამოირჩევიან, ისევე ულარეგებლო, როგორც ლაპის ხელოთმანების გაკეთება, როცა საქმე პლუტონიუმთან გაკვეს".

21 აგვისტოს ჰუა გო-ფენმა რუმინეთში ვიზიტი დაამთავრა. იმავე ღღეს იგი ბელგრადს გაფრინდა. (საკლესი), 21 აგვისტო.

• • •

ბელგრადი, 21 აგვისტო, (საკლესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბ. ტიტოს მოწვევით აქ ჩამოვიდნენ ჰუა გო-ფენი და მისი თანმხლები პირნი. ბელგრადის თეთრ სასახლესთან ჰუა გო-ფენს დახვდნენ ი. ბ. ტიტო და იუგოსლავიის სხვა ოფიციალური პირნი.

ᲘᲖᲛᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ

ᲘᲖᲛᲘᲠᲘ, 21 აგვისტო. (საკლესის სპეც. კორ.). თურქეთის ქალაქ იზმირში გაიხსნა 47-ე საერთაშორისო ბაზრობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობს საზღვარგარეთის 32 სახელმწიფო და თურქეთის ათასზე მეტი ფირმა. ბაზრობაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნები.

საბჭოთა კავშირი ამ ბაზრობის ტრადიციული მონაწილეა. იგი ერთ-ერთია საზღვარგარეთის სამი სახელმწიფოდან, რომლებიც მონაწილეობდნენ 1934 წლის პირველ ბაზრობაში. ისევე, როგორც წინა წლებში, სსრ კავშირის პავილიონში თურქი და უცხოელი დამთვალიერებლები გაეცნობიან საბჭოთა საწარმოების მდიდარ და მრავალფეროვან პროდუქციას.

ტრადიციისამებრ ყოველ წელიწადს საბჭოთა პავილიონის სპეციალური განყოფილება დამთვალიერებლებს აცნობს ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მიღწევებს. 1978 წელს ეს საპატიო უფლება მიენიჭა უზბეთის სს რესპუბლიკას. რესპუბლიკის 30 საწარმოს 600-ზე მეტი ექსპონატი დამთვალიერებლებს აცნობს უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში მიაღწია მეფის რუსეთის ოდესღაც ჩამორჩენილმა განაპირა მხარემ.

ᲡᲠᲝᲚᲐ ᲓᲐᲚᲐᲡᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 აგვისტო. (საკლესის სპეც. კორ.). თურქეთის ქალაქ იზმირში გაიხსნა 47-ე საერთაშორისო ბაზრობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობს საზღვარგარეთის 32 სახელმწიფო და თურქეთის ათასზე მეტი ფირმა. ბაზრობაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნები.

საბჭოთა კავშირი ამ ბაზრობის ტრადიციული მონაწილეა. იგი ერთ-ერთია საზღვარგარეთის სამი სახელმწიფოდან, რომლებიც მონაწილეობდნენ 1934 წლის პირველ ბაზრობაში. ისევე, როგორც წინა წლებში, სსრ კავშირის პავილიონში თურქი და უცხოელი დამთვალიერებლები გაეცნობიან საბჭოთა საწარმოების მდიდარ და მრავალფეროვან პროდუქციას.

ტრადიციისამებრ ყოველ წელიწადს საბჭოთა პავილიონის სპეციალური განყოფილება დამთვალიერებლებს აცნობს ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მიღწევებს. 1978 წელს ეს საპატიო უფლება მიენიჭა უზბეთის სს რესპუბლიკას. რესპუბლიკის 30 საწარმოს 600-ზე მეტი ექსპონატი დამთვალიერებლებს აცნობს უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში მიაღწია მეფის რუსეთის ოდესღაც ჩამორჩენილმა განაპირა მხარემ.

ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲩᲘᲚᲔᲚᲘ ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. პროგრესული ხაზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ჩრდილოეთ ჩილეს დიდი სპილენძის მადნის მაღაროს „ჩუკიკამატას" მოვლენებისადმი. მაღაროელებმა პროტესტი განაცხადეს ხამხედრო-ფაშისტური ხუნტის მუშათა ხაწინააღმდეგო პოლიტიკის მიმართ. რომელმაც მშრომელთა ფართო მასებს შიმშილი, ხალატკე და უმუშევრობა მოუტანა. მაღაროელები იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის. შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ხამუშაოდან დათხოვნილი ამხანაგების აღდგენისათვის.

როგორც ვიცით, „ჩუკიკამატას" მაღაროს ნაციონალიზებულ იქნა ჩილეს ხელისუფლების სათავეში სახალხო ერთიანობის მთავრობის ყოფნის დროს. მაგრამ ხუნტის მიერ ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ იგი აუქციონიდან მიპყიდეს ამერიკის „იქსონის" კონცერნს.

მაღაროელებს მხარი დაუჭირა ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციამ, მათ შორის ხელისუფალთა მიერ ნებადართულმა ერძო საწარმოების მომსახურეთა კონფედერაციამ, რომლის რიგებში ახლა 30 ათასი კაცია გაერთიანებული. ჩილეს მშრომელთა ეროვნულმა კავშირმა.

დელეგაციამ, რომელიც „ჩუკიკამატას" მუშებმა სანტიაგოში გაგზავნეს ხელისუფლებათან მოსალაპარაკებლად, აღნაცხადა, რომ თუ 8 სექტემბრ რადე არ დაკმაყოფილებენ მათს სამართლიან მოთხოვნებს, მაღაროელები პროტესტის უფრო გადამჭრელ ფორმებს მიმართავენ.

სოლიდაროობამ გაიმარჯვა

ოტავა. (საკლესი). „ფლეკ მენიუფეაჩურინგ კომპანიის" საწარმოს მუშათა გამარჯვებით დამთავრდა კანადელ მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე საბრძოლო გამოსვლა. ხუთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა საავტომობილო მრეწველობის პატარა საწარმოს მუშა ქალთა გაფიცვა, რომლებიც იცავდნენ მეწარმეებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის თავიანთ პროფკავშირული ორგანიზაციის უფლებას. კომპანიის მეპატრონეები შეეცადნენ გაფიცვა ჩაეშალათ შტრეიკბრეხერების საშუალებით. ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციელები არაერთგზის დაეხსნენ თავს მუშათა პიკეტებს საწარმოს ჭიშკართან.

კანადის პროგრესულმა და დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ბრძოლის ფართო კამპანია გაშალეს „ფლეკ მენიუფეაჩურინგის" კომპანიის მუშათა უფლებების დასაცავად. შეიქმნა გაფიცულთა დახმარების სპეციალური ფონდი, საწარმოს პიკეტირებაში მონაწილეობდნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსული შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. მუშათა სოლიდარობამ გაიმარჯვა. ადმინისტრაცია დათანხმდა კოლექტიური ხელშეკრულების დადებას, რომელიც ითვალისწინებს შრომის პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასის მომატებას.

ᲡᲐᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ვაშინგტონი, (საკლესი). დაწყებული 1972-73 წლებიდან დოლარის ყველაზე სერიოზული კრიზისი ვაშინგტონს აიძულებს გამოძებნოს ხასწრაფო ღონისძიებანი, რომელიც შეაჩერებს საერთაშორისო სავალუტო ბირჟებზე დოლარის კურსის კატასტროფულ დაცემას.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა სამეჭვმ (ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა ბანკმა) გამოაცხადა ერთ-ერთი ასეთი საგანგებო ღონისძიების შესახებ, რომელიც, ფინანსთა მინისტრის მ. ბლუმენტალის განცხადებით, რამდენიმე კვირის მანძილზე უნდა განხორციელდეს. ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებით 7,25-დან 7,75 პროცენტამდე გაიზარდა სესხის გაცემის სამანკო პროცენტის დისკონტის განაკვეთი. ამ ღონისძიებამ, რომელიც ამკაცრებს სესხის გაცემის პირობებს და „ძვირებს" მას, უნდა შეამციროს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის მოცულობა, შეანელოს ინფლაცია.

დოლარის ახლანდელი სავალალო მდგომარეობა, როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ეკონომიკურ მიმოხილველს კ. თარნსფორტს მიაჩნია, გამოწვეულია იმით, რომ „გაფრთხილების მიუხედავად, აღმინისტრაციამ ჯერჯერობით ვერ შეიფასა ინფლაციისა და სავაჭრო ბალანსის დეფიციტის საშიშროება". ინფლაციის ზრდის ტემპი ამ ბოლო დროს მატულობს, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში რამდენიმე წლის მანძილზე პირველად ცალკე გადააჭარბა 10 პროცენტს და წელიწადზე გადაანგარიშებით 10,4 პროცენტი შეადგინა.

ინფლაცია არყევს დოლარის პოზიციებს, ხოლო მისი კურსის დაცემა, თავის მხრივ, იწვევს იმპორტის გაძვირებასა და ინფლაციის გაფიდვებას.

ამრიგად, აღმინისტრაციის იმედი, რომ დოლარის კურსის დაცემით შეერთებული შტატები გამოისწორებდა თავის საგარეო სავაჭრო პოზიციებს დასავლეთ ევროპის პარტნიორებისა და იაპონიის ხარჯზე და მოსპობდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტს, არ გამართლდა.

ეკონომისტთა აზრით, დოლარის დაცემის ფაქტიურ წაქეზებაზე არანაკლებ სახიფათოა ფედერალური სარეზერვო სისტემის ახლანდელი გადაწყვეტილებაც გადიდოს დისკონტის განაკვეთები.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲓᲐᲜ მიღებული ცნობების თანხმად, იქ დამთავრდა რუმინეთ-ჩინეთის ოფიციალური მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა რუმინეთში ჰუა გო-ფენის ვიზიტის ფარგლებში. გამოქვეყნდა ერთობლივი ცნობა პრესისათვის, რომლიდანაც ჩანს, რომ აზრთა გაზიარება ეხებოდა „რუმინეთ-ჩინეთის ურთიერთობის მრავალმხრივ განვითარებასა და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს".

ამ დოკუმენტში ორივე მხარე აღნიშნავს, რომ „კმაყოფილი არიან „რუმინეთ-ჩინეთის მეგობრობის" განმტკიცებითა და განვითარებით, გამოთქმულია მტკიცე გადაწყვეტილება „სულ უფრო გაფართოონ და გაღრმავონ ეს ურთიერთობა". მათ განაცხადეს, რომ მზად არიან „მოახდინონ თანამშრომლობის დეკერსიფიკაცია სახელმწიფო ხაზით, მასობრივი და სხვა ორგანიზაციების ხაზით".

ცნობაში მოლაპარაკების შესახებ არსებითი ადგილი ეთმობა ეკონომიკური, ვაჭრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა, „თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს დარგებში", დოკუმენტების კონკრეტული შინაარსი ამის თაობაზე არ არის გაშუქებული.

მოლაპარაკების დამთავრების შესახებ ცნობის ის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო საკითხებს ეხება, ყველაზე ლაკონიურია. მასში ნათქვამია, რომ „რუმინეთი და ჩინეთი ღრმად არიან დაინტერესებული" განმტკიცდეს „მსოფლიოში მშვიდობის კლიმატი", მოცემულია ზოგადი ფორმულირებანი „ხალხთა დამოუკიდებლობისათვის", „იმპერიალისტური, კოლონიალისტური და ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის შესახებ" და ა. შ.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სპოლოო ცნობაში არ არის ასახული მხარეთა პოზიციები ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიც არის დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, სოციალისტური ვიეტნამის მიმართ პეკინის შექარისა და დიქტატის შეუნიღბავი პოლიტიკა. ცნობაში არ არის აგრეთვე დებულებანი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲖᲔ

საარის მხარის დელეგაცია თბილისში

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 20 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის საარის საოლქო ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანელთა კომპარტიის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე როლფ პრამერი. ეს არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა საარის მხარეში ყოფნის საპასუხო ვიზიტი.

აერთდრომზე დასავლეთგერმანელ კომუნისტებს დახვდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. მ. ხინობა, სხვა ოფიციალური პირნი.

საქართველოს და საარის მხარეს მეგობრული კონტაქტები აქვთ დამყარებული. თბილისი და საარბრიუკენი დაძმობილებული ქალაქებია.

21 აგვისტოს დელეგაციის წევრები მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისს საქალაქო კომიტეტში. ნ. ვ. გურგენიძე სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკის საქალაქო კომიტეტის, კომუნისტებისა და მშრომელთა სახელით. მან ილაპარაკა პარტიული ორგანიზაციის, თბილისელ მშრომელთა აღმშენებლობითს საქმიანობაზე სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებზე, რომელთა მეოხებით თბილისი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი გახდა, უპასუხა სტუმრების კითხვებზე.

საუბარში მონაწილეობდა ბ. თ. ლობჟანიძე.

დელეგაციის მეთაურმა როლფ პრამერმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას მძლავრი იმპულსი მისცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ამსწინანდელი ვიზიტმა. მან ხაზი გაუსვა, რომ საარის მხარისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ურთიერთობა ნაყოფიერია.

იმავე ღღეს დელეგაციამ დათვალიერა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, ეწვია მცხეთას.

(საქინფორმი).

ᲘᲖᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲩᲘᲚᲔᲚᲘ ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. პროგრესული ხაზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ჩრდილოეთ ჩილეს დიდი სპილენძის მადნის მაღაროს „ჩუკიკამატას" მოვლენებისადმი. მაღაროელებმა პროტესტი განაცხადეს ხამხედრო-ფაშისტური ხუნტის მუშათა ხაწინააღმდეგო პოლიტიკის მიმართ. რომელმაც მშრომელთა ფართო მასებს შიმშილი, ხალატკე და უმუშევრობა მოუტანა. მაღაროელები იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის. შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ხამუშაოდან დათხოვნილი ამხანაგების აღდგენისათვის.

როგორც ვიცით, „ჩუკიკამატას" მაღაროო ნაციონალიზებულ იქნა ჩილეს ხელისუფლების სათავეში სახალხო ერთიანობის მთავრობის ყოფნის დროს. მაგრამ ხუნტის მიერ ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ იგი აუქციონიდან მიპყიდეს ამერიკის „იქსონის" კონცერნს.

მაღაროელებს მხარი დაუჭირა ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციამ, მათ შორის ხელისუფალთა მიერ ნებადართულმა ერძო საწარმოების მომსახურეთა კონფედერაციამ, რომლის რიგებში ახლა 30 ათასი კაცია გაერთიანებული. ჩილეს მშრომელთა ეროვნულმა კავშირმა.

დელეგაციამ, რომელიც „ჩუკიკამატას" მუშებმა სანტიაგოში გაგზავნეს ხელისუფლებათან მოსალაპარაკებლად, აღნაცხადა, რომ თუ 8 სექტემბრ რადე არ დაკმაყოფილებენ მათს სამართლიან მოთხოვნებს, მაღაროელები პროტესტის უფრო გადამჭრელ ფორმებს მიმართავენ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲛᲡᲮᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲝᲪᲐ კაცს ზემოდან ჭერის ნაცვლად გადასახელელის კიბე დაპყურებს, ხოლო ჭიბეში ასი იენიც კი არა აქვს ღამის გასათევად, რაში სჭირდება ქალაქ ოსაკაში გამოკრული განცხადება ხახლების გაყიდვის შესახებ. იმისათვის, რომ 17-18 მილიონად ღირებული პატარა ხის ნაგებობა იყიდოს, რომელიც ნიჩონბასის უბნიდან, სადაც უსახლკარო დაბინავებულა, ელექტრომატარებლით 40 წუთის ხავალზეა, კვალიფიციურმა მუშამ 20 წლის მანძილზე თავისი ხელფასის ნახევარი უნდა გადადოს.

ვისი ბრალია ამ კაცის დაჭეჩავება? იქნებ ერთ-ერთი იმ იაპონური კომპანიისა, რომელსაც ეს ფეშენებლური შენობები აუგია ქალაქის განაპირას? ოსაკაში ათასობით ასეთი „ზედმეტი" ადამიანია, რომლებიც იძულებული არიან თავიანთი უკანასკნელი წლები რკინიგზის ბიდებისა და საავტომობილო ეხატაკადების ქვეშ გაატარონ. ისინი ადამიანთა სანაგვეზე გადაიხროლა თვით საზოგადოებამ, რომელსაც საფუძვლად უდევს დაუნდობელი ექსპლოატაცია, საზოგადოებამ, სადაც მწარე დაცინვად ისმის



კონსტიტუციის ხიტყვები შრომის უფლებისა და ჯანსაღი და კულტურული ცხოვრების მინიმალური დონის დაცვის შესახებ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — უსახლკარო ნიჩონბასის ქუჩაზე ოსაკის ცენტრში; მარჯვნივ — განცხადება ქალაქ ოსაკაში სახლების გაყიდვის შესახებ.

Ვ. ᲡᲐᲐᲠᲝᲜᲘᲜᲘᲡ ფოტო და ტექსტი (საკლესის ფოტოქრონიკა).

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ

უკვე კანონზომიერებად იქცა, რომ ჩვენი სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობა მის საზოგადოებრივ წარმოებასთან შედარებით უფრო დინამიკურად ვითარდება, თუ საბჭოთა კავშირის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე 50 პროცენტით გაიზარდა, მისი საგარეო-სავაჭრო ბრუნვა შესადარი ფასებით ამავე დროში 77 პროცენტზე მეტად გადიდდა. ეს მოწმობს, რომ სსრ კავშირის მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში სულ უფრო და უფრო ღრმავდება და, მაშასადამე, განუწყვეტლივ იზრდება საგარეო ვაჭრობის როლი საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში.

სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების რა ტენდენციებზე მეტყველებს უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები?

1977 წელს ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მოცულობა მიმდინარე ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით 11,6 პროცენტით გაიზარდა და 63,4 მილიარდ მანეთი შეადგინა. ამასთან გვინდა აღვნიშნოთ, როგორც სასიხარულო ფაქტი, ექსპორტის გადამეტება იმპორტზე. საბჭოთა კავშირს ასეთი დიდი დადებითი სალდო (3,2 მილიარდი მანეთი) ჯერ არასოდეს არ ჰქონია საგარეო ვაჭრობაში.

ჩვენს ექსპორტს ახლა მკაფიოდ გამოხატული ინდუსტრიული ხასიათი აქვს. თუ წინათ სსრ კავშირს მხოლოდ ნედლეული საქონელი გაჰქონდა, ახლა იგი საერთაშორისო ბაზარზე მზა ნაწარმის ან დიდად დამუშავებული ნახევარფაბრიკატების ფართო ნომენკლატურის საერთაშორისო მიმწოდებელი გახდა. მაგალითად, შარშან საბჭოთა კავშირის მთელი ექსპორტის მეხუთედი შეადგინა მანქანებმა, მოწყობილობამ, სატრანსპორტო საშუალებებმა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებმა. მთელი საგარეო-სავაჭრო შემოსავლის 35 პროცენტზე მეტი მიღებულია ნავთობის, ნავთობქიმიის პროდუქტების, ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგიის გაყიდვით. ექსპორტის მეექვსედი (16,3 პროცენტი) შეადგინა ლითონებმა, მათ შორის მილებმა და ნაგლინმა, მადნეულმა და მადნეულის კონცენტრატებმა.

რაც შეეხება იმპორტს, 1977 წელს მან 30,1 მილიარდი მანეთი შეადგინა. აქედან 11,5 მილიარდი დაიხარჯა მანქანების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე. იმპორტირებული მანქანებისა და მოწყობილობის დაახლოებით 60 პროცენტი ნაყიდია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ყოძლიერებული ტემპით აკეთებენ მანქანათმაშენებელ ინდუსტრიას და მთელი მრეწველობის ტექნიკური განათლების კურსს ადგანან, რასაც მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე აკეთებენ. ამით აიხსნება ერთმანეთისთვის წინასწარ შეთანხმებული და დაგეგმილი მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდების მაღალი დონე.

თუმცა საბჭოთა კავშირს თვითონაც აქვს მანქანათმშენებლობის უმძლავრესი ბაზა, მანქანა-მოწყობილობის შემოტანამ მაინც ხელი შეუწყო და უწყობს მრეწველობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების სწრაფ განვითარებას, როგორიც არის ქიმიური და ნავთობქიმიური, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა, მაგალითად, შარშან ქიმიური მრეწველობისათვის საზღვარგარეთ შეძენილიდ 1,7 მილიარდი მანეთის, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის — 650 მილიონი მანეთის მოწყობილობა.

ჩვენი იმპორტის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს სახალხო მოხმარების საქონელი და მათი წარმოებისათვის საჭირო ნედლეული. რა თქმა უნდა, ამ საქონლის უდიდეს ნაწილს ჩვენი ქვეყანა თვითონ აწარმოებს, მაგრამ მაინც შემოტანილი საქონელი საშუალებას გვაძლევს გარკვეული თვალსაზრისით უკეთ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნა. 1977 წელს საბჭოთა მოქალაქეებისათვის სახელმწიფო შეძენილია თითქმის 2 მილიარდი მანეთის

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ

მზა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, 355 მილიონი მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, 700 მილიონამდე კვერცხი, 840 ათასი ტონა ახალი ხილი და კენკროვანები (მათ შორის 355 ათასი ტონა ფორთოხალი), რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის ავეჯი და სხვ.

საბჭოთა მსოფლიოს თითქმის 120 სახელმწიფოსთან ვაჭრობს. 1977 წელს მთელი მისი საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 52,5 პროცენტი მოდიოდა მოძმე ქვეყნებზე — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრებზე — ბულგარეთზე, უნგრეთზე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, კუბაზე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაზე, პო

ჩვენს არჩევანში
ინფორმაცია

საქართველოს რაიონებში

წალენჯიხა

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ახალმშენებლობათა ხარაჩოები

შარშოდ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა. წლეულს უკვე აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის სამსართულიანი შენობა; ჩაის პირველ ფაბრიკას მიაშენეს ახალი კორპუსი, სადაც დამონტაჟდა ჩაის ფოფლის გადამმუშავებელი უახლესი ტექნიკის დანადგარები. შენდება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 100 ტონის ტევადობის მაცივარი.

წალენჯიხას ჩაის საბჭოთა მეურნეობაში შენდება კულტურის სახლი და ჯანმრთელობის პროფილაქტორიუმი, ჭვარში და ობუჯში — სავაჭრო ცენტრები, ლიაში — საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

გავშვების გულის გასახარად

უკანასკნელ ხუთწლედში რაიონში 17 სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდა. მშენებლობის პროცესშია შვიდი სკოლა. ზედა მაზანდარის რვაწლიან სკოლას ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ რამდენიმე საკლასო ოთახი მიუშენა და ინვენტარი შეუძინა.

ჭვარის მესამე და ჯალეს ხაშუალო სკოლები პირველი სექტემბრისათვის ფართოდ გაუღებენ კარს მოსწავლეებს. ამ სკოლებს აშენებენ ენგურჰესის მშენებლობის სამმართველო და რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

მოჩუხჩუხებს წყაროს ანკარა...

მთაგორიან რაიონში ბევრი ანკარა წყაროა მოჩუხჩუხებს. მყარვარების ეს ნაუური დიდხანს გამოუყენებელი იყო, სოფლები კი უწყლოდ რჩებოდა. უკანასკნელ წლებში ბევრმა სოფელმა მიიღო წყაროს წყალი. ჭვარის, ჩქვალერის, ოჩკონიკიძის, ობუჯის და სხვა სოფლებას ხაზოგადოებრივმა მეურნეობებმა თავიანთი სახსრებით გაიყვანეს წყალსადენები.

სპორტული კომპლექსი

რაიონის სტადიონის ტერიტორიაზე დაიწყო ღია საცურაო აუზის მშენებლობა, ცალკე იქნება ბავშვთა საპყუმპალაო, შენდება სახტომი კოშკი, მსაჯების, მწვრთნელების, ბავშვთა და მოზარდთა გასახდელი ოთახები.

კულტურის პარკის რეკონსტრუქცია

დაიწყო ქალაქის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელსაც სათავეში ჩაუდგა წალენჯიხის სახალხო დეპუტატთა რაიასამკოს აღმასკომი.

უკვე აშენდა აუზი, ღია ესტრადა, კაფე, ჭადრაკის სახლი, ხელბურთის მოედანი, მოეწყო შადრევანი, სასეირნო ბილიკები, გაზონები. ორიგინალურად გადაწყდა განათების საკითხი, დაიდგა საყვავილეები.

ამ დღეებში პარკი საზეიმოდ გაიხსნა. ახალგაზრდულმა სასეირადო ანსამბლმა პირველი კონცერტი გამართა.

კულტურისა და დასვენების პარკს კომკავშირის სახელი მიეკუთვნა.

გ. ნოდია.



სურათზე: წალენჯიხის კულტურის და დასვენების პარკის ერთ-ერთი კუთხე რეკონსტრუქციის შემდეგ.

ა. ყუფუნიას ფოტო.

მრავალსართული ნიჭი

მწერალი-დრამატურგი, კინოსცენარისტი, რეჟისორი, მხატვარი...

„მიმინოს“ შემდეგ კინოდრამატურგმა რევაზ გაბრიაძემ ახალი სცენარი დაწერა, რომელმაც კინომოსტორი ოთარ თოლორაიანმა ოპერა „პირველი სიყვარულის“ შექმნა შთააგონა. მოსკოვის გორკის სახელობის სტუდიაში ახალგაზრდა კინორეჟისორი ჰასან ხაშაკასმოვი გაბრიაძის სცენარის მიხედვით იღებს კინოკომედიას „დიუმა კავკასიაში“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დოფის სტუდიაში იშნაროვი ასევე გაბრიაძის სცენარის მიხედვით გადაიღო კომედიური ფილმი. გამომცემლობაში დეკემბრამდან „არაჩვეულებრივი გამოფენისა“ და „ჩვეული მოთხრობებსა ხელნაწერები, რომელნი ავტორისა რ. გაბრიაძე. და ბოლოს, მარადონეტული ტელეფილმისათვის „ხანუმა პარიზში“ ეს-ესაა შეიქმნა თოჯინები. ფილმის სცენარი დაწერა რევაზ გაბრიაძემ, თოჯინებიც მანვე დაამზადა და როგორც რეჟისორი ფილმის გადაღებას შეუდგა.

ყოველივე ის სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ. სამწუხაროდ, თვით გაბრიაძისაგან ასეთ ინფორმაციებს ვერ მივიღებთ — იგი ძალზე სიტყვაძვირია. როცა საინფორმაციო „კორესპონდენტისაგან მოისმინა ყველაფერი, რაც გუშინ გაიკითხა და რის გაკეთებას აპირებს, რეჟისორი გვეუბნა:

— ხომ ვერ მეტყოფით, როდის უნდა გაეგზავნოთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში?

— ოქტომბრის პირველ რიცხვებში...

— გამაღლობთ, — სერიოზულად გვიხდის იგი მადლობას.

ქუთაისში, ქართველ ენამოსწავლეთა ოდიტორიაში, სადაც რევაზი დაიბადა და იზრდებოდა, ეთმრა სერიოზულად ეკიდებიან. ან როგორ შეიძლება სხვაგვარად მოეკიდო ამას. რაც ცხოვრებას სადღესასწაულო ერის ანიჭებს. და ცხოვრების ეს დღესასწაულეიერ აღქმა, რომელსაც ზოგჯერ ნათელი სევდა, სინანული ანლავს თან ამის გამო, რომ ყველა ადამიანს არ შეუწყვეტია ბარი დაათასოს ამ ჭეშეტიერ ყოფიერ სიდიადე, ამა თუ იმ ზომით გაბრიაძის სცენარით შექმნილ ყველა ფილმში იგრძნობა. „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „არ დაიდაოდო“, „შერეკილები“ „ქიქარ“ მოწმობენ, რომ მწერალს ახიდავს კომედიის ანარი, რომელიც სერიოზულ და რთულ პრობლემებს სახავს.

— ბანალურობაში არ ჩავიდართქვათ, და უნდა ვთქვა, რომ კომედია მარტო სიცილის გამო არ მეზიდავს. თუმცა არ დაიძალოდ. ჯილიანი სიცილი ძალიან მიყვარს. კომედია ავტორს ეხმარება სწრაფად დაამყაროს კონტაქტი მაყურებელთან. ამიტომაც, ჩემი აზრით, ითლად ახერხება მიესვლის ამლობელი გახადოს ალზე მნიშვნელოვანი პრობლემები, აითელოს. იგი ჩაეფიქრდეს ამ პრობლემებს, საკუთარ თავს სხვისი თვალით შეხედოს და თვითონ განსაზღვროს, რა არის სასაცილო და რა არა.

— **რას იტყოდით ახალ ფილმზე „დიუმა კავკასიაში?“.**

— ეს რომანტიკული ამბავია დიდი მწერლის საქართველოში მოგზაურობის შესახებ, იმ უბრალო და კონტრამანდი ადამიანებზე, რომლებმაც დიუმა განაცვიფრეს თავიანთი სიცოცხლეს სიყვარულით, ხალისიანობით და შთააგონეს წიგნი დაეწერა „კავკასიაზე. თუმცა მოქმედება შორეულ წარსულში ხდება, ბევრი რამ, რასაც ფილმში ვნახავთ, თანამედროვე ყოფიერებისაა.

საუბრის დროს გაბრიაძე ქალაქში სწრაფად ხატავს ტიპაჟებს ფილმებისა „დიუმა კავკასიაში“ და „ხანუმა პარიზში“.

— **მომავლის გეგმებზე რა გვეტყოდით, რევაზ?**

— ეგ თქვენ ჩემზე უკეთ იცით, და მაინც: გაპირებ მწერო თეატრისათვის, ფილმის „ხანუმა პარიზში“ შემდეგ შეექმნა მარიონეტთა თეატრი...

— **სატელევიზიო სერიის „გზის“ შესახებ რას გვეტყვით?**

— „გზა“ ონლა დაეამთავროო. დაბერდნენ ჩემი გმირები, ეკერთ ზოგზაურობა. მაყურებლები და მათი წერილები რომ არა, „გზა“ სამ მუშას დიდი ხნის წინათ გადაშენებდი პენსიაში...

რევაზი ძალიან ბევრ წერილს იღებს. მისი ფოსტა გამუდმეურებით გამდიდრდა ფილმ „ბიბიოს“ შემდეგ.

— ეს, ონდა გითხრათ, ყველაზე ძვირფასია ჩემთვის, — თქვა რევაზმა წერილებისა სქელი ალბომ-ალბომების შესახებ. — ვიფიქრეთ ოდ თითქოს მომღიმარი ადამიანების ქვეყანას ვხედავ.

ლ. გაგუა.
(საინფორმაციო კორ.).

რაც დედაქალაქს ამშვენებს...

იუბილარ პარკი

მთაწმინდის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი ორმოცი წლის გახდა. ოდესღაც უდაბური ადგილი დღეს ეარდ-ყვავილების, ეკალრების, კაკასიური ცაცხვისა და ნარფეფი მეეანარეების საბრძანებელია. ამიტომაც არის, რომ დედაქალაქის სტუმარი თუ მასპინძელი, თბილისური სიცხეს რომ განერიდოს, ამ მშვენიერ ალაგს მიაშურებს. აქ ყოველდღიურად მრავალად არიან დამსვენებლები.

ეს ბაღი სახალხოდ საამო და გულგასახარია. მუშაობს სხვადასხვა სახის გასართობი ატრაქციონები; ნორჩ ავტომოყვარულებს ავტოდრომზე შეჯიბრი გაუმართავთ, ახალგაზრდა წყვილებს კი პანორამის ბორბალი მთელ ქალაქს ოცვლებით შემოატარებს.

ჩრდილში კარგია საინტერესო წიგნის გმირებთან შეხვედრა. ვისაც კითხვა უყვარს, პარკის ბიბლიოთეკის მუშაკები მუდამ მზად არიან კეთილად მოემსახურონ მათ. ბიბლიოთეკა რამდენიმე წელია რაც აშენდა. მის ფონდში 50.000 წიგნი ინახება. ბიბლიოთეკის გამგე თ. ბურდული და ბიბლიოთეკარი ქ. ლომიძე მნახველებს აცნობენ დარბაზის ერთ კუთხეში მოწყობილ საინტერესო გამოფენას თემაზე — „ქართველი მეცნიერები დიდ სამამულო ომში“.

მთაწმინდის პლატოზე ბევრი მასობრივი ხასიათის ღონისძიებები ეწყობა. ახლახან ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ხელმძღვანელობამ აქ პენსიაზე გააცილა საწარმოს წინამე ვალმოხდილი მუშები, ხოლო ახალგაზრდებს შრომითი გზა დაულოცეს და პირველი ხელფასებიც აქვე გადასცეს. პარკში დამსვენებლებისათვის იმართება ლექციები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, კითხვა-ჰასუის საღამოები, მუშაობს ადგილობრივი რადიოკვანძი, ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივები საღამოობით კონცერტებს მართავენ.

მაღე ჩეხოსლოვაკიის „ლუნა-პარკი“ თავისი ატრაქციონებით ეწვევა თბილისს.

პარკის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შექმნას მუზეუმი, რომელიც ორმოცი წლის განვლილ შემოქმედებითს ცხოვრებას ასასავს. დირექტორი ვ. ხოფერია ოცდახუთი წელია დაუღალავად ემსახურება პარკს. მთელი კოლექტივი ზრუნავს ბაღის კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის. პარკი ყველა საკავშირო კონკურსის მონაწილეა. იგი გარდამავალი წითელი დროშის, საკავშირო „ალკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებისა და დათვალიერების ლაურეატის მედლის მფლობელია.

ახალგაზრდაა ორმოცი წლის ბაღი, მომავალი კი კიდევ უფრო დაამშვენებს და გალამაზებს მას. მთაწმინდა კვლავაც ახალ-ახალ სიხარულს მოუტანს დედაქალაქის მცხოვრებთ თუ სტუმრებს.

ლ. ქინქლაძე.

* * *

სურათზე: მთაწმინდის ფუნიკულიორის სადგურის შენობის ხედი.

გ. სანაიას ფოტო.

მშრომელთა სამსახურში

ქობულეთი. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის ორი თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა. ბინა დამთავრდება ოცდაოთხბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მეურნეობის მუშა-ქოსამსახურეები კვლავ ახალმოსახლეობას იზეიმებენ.

გ. ჩხაიძე.

..ზაპოროჟეცი ბოიგო

მოქალაქე ა. ვ. ჩერტკოვმა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მეშვიდე ავმოშვების ლატარიის ბილეთი (№ 092, სერია 21770), რომელმაც ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მოიგო.

დ. შერგელაშვილი,
შემნახველი სალაროს გამგე.

ᲘᲛ ᲥᲘᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲗᲘ ᲛᲝᲚᲐᲪᲝᲜᲔᲑᲚᲘᲡ

უკვდავებაა მათი სახელი

ᲘᲓᲒᲐ მრიხანე 1943 წელი. ფრონტსა და ზურგში ყველაფერი კეთდებოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. სამშობლოს დამცველები არ ივიწყებდნენ ზურგში დარჩენილ მეგობრებს და მათ შრომითი მამაცობისათვის მოუწოდებდნენ.

გაზეთ „კომუნისტის“ 1943 წლის 3 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ფორტეპიანოს ტუნერის ქვანახშირის მაღაროელებისადმი გამოგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერდა სტალინის სახელობის შახტის პარტბიუროს ყოფილი მდივანი ვარდენ ნანიკაშვილი. აი რას წერდა იგი:

„ძვირფასო ამხანაგებო! რაც თქვენგან წამოვედი, 1941-42 წლებში მონაწილეობას ვიღებდი გერმანიის პირსისხლიან ფაშიზმის წინააღმდეგ დიდ შეტაკებებში, იმ პერიოდში, როდესაც მთელი რაიონები განთავისუფლებულ იქნა ფაშისტთა ურდოებისაგან. 1942-43 წლის ზამთრის პერიოდში მონაწილეობა მივიღე მტრის თავდაცვის ხაზის გაროვეგაში დონის შუაზელის რაიონში და ძლიერი ბრძოლების შედეგად განთავისუფლებულ იქნა უკრაინის ნაწილი.

ჩვენი სამხედრო ორგანიზაციის კიდევ უფრო განვითარებისა და წინათელ არმიის ნეიარალების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის-მეტი რაოდენობით ამოღებას. ვეკმის გადამეტებით თითოეული ტონა ქვანახშირის ამოღება აწყარებს ჩვენი ძმებისა და დების განთავისუფლებას, რომლებიც ფაშიზმის ულელქვეშ გმინავენ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში“.

ამ წერილს საპასუხოდ „კომუნისტის“ 1943 წლის 29 აგვისტოს ნომერში ლაიბეჭდა ტყიბულელ ქვანახშირის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ღია ბარათი თავიანთი ფრონტელი მეგობრის ვარდენ ნანიკაშვილისადმი. მასში ისინი აღიქვამენ ძვირფას თანამემამულეს, რომ არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას, სამშობლოს მისცემენ იმდენ ქვანახშირს, რამდენიც საჭიროა.

ეარდენ გამარჯვების რწმენით ალსავსე წერილებს უგზავნიდა თავის მეუღლეს. ვერას ტყიბულში, რომელსაც ალსაზრდელად ორი შვილი, სულ ჩვენი ლეილა და ეკვსი წლის ჯემალი დაუტოვა. სამწუხაროდ, ბერი მეომარს არ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება. 1944 წლის იანვარში იგი უკრაინის მიწაზე დაიღუპა.

გავიდა დრო. წამოზარდნენ ვარდენის შვილები. ჯემალი სამთო ინჟინერი გახდა. იგი დიდხანს მუშაობდა ტყიბულში, ამჟამად ქინვალიტების მრეწველობაშია. ლეილა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს უფროს ლაბორანტად. გარდაიცვალა ვარდენის მეუღლე ეერამამის სოდლაევსა კი ახალგაზრდობა ერთიერი იცოდნენ.

და აი მეცნიერ-ეკონომისტთა დაეგინდა, რომ ლეიტენანტი, მსროლელი ოცეულის მეთაური ვარდენ ივანის ძე ნანიკაშვილი დაიღუპა 1944 წლის 7 ივლისს და დაარქვეს: ნინკრეპეტროვის ოლქი ტამაკოვკის რაიონი, სოფელ კატიოშჩინოში ძმათა სასაფლაოზე.

შვილები ეაენგზავნენ მამის საფლავის სანახავად. უკრაინელმა მეგობრებმა ეუფთხილად მიიღეს ისინი. სოფელ კატიოშჩინოს ძმათა სასაფლაოზე 600 ჯარისკაცი დაკრძალული. ხსოვნა მათი მარადიული. საბერი მათი — „ალიდადა!

სურათზე: ლეილა და ჯემალ ნანიკაშვილები მამის საფლავზე

სურათებზე: ოსების მფლობელები (მარცხნიდან)—ე. გორინა, ლ. ცოტაძე და ხ. შალიბაშვილი.
ვლ. ბინზაბურის ფოტო.

თუ ჩემპიონობა გსურს...

„დინამო“ (თბილისი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 3:0 (1:0)

თბილისი, 20 აგვისტო. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 24 გრადუსი სითბო. 45.000 მაყურებელი.

მსაჯი: ე. შალოვსკი (მოსკოვი).

„**დინამო**“: გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჩივაძე), შენგელია.

„**პახტაკორი**“: პოკატილოვი, სეროსტანოვი, ამბროვი, მოგილინი, უბაიდულაევი, კორჩენოვი, ჩურკინი, ანი, მაკაროვი (ყურნეევ), ფიოდოროვი, ბაკანოვი.

გოლები: შენგელია (მე-12 წუთზე) და დარასელია (49-ე და 52-ე წუთებზე).

წლევანდელ ხეზონში თბილისელებისათვისაც და ტაშკენტელებისათვისაც ეს უკვე მეოთხე მატჩი გახლდათ და, ცხადია, მეტოქეები ზემდაწყვნით იცნობდნენ ერთმანეთის როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს. გავიხსენოთ ერთი დეტალიც, „დინამომ“ „პახტაკორს“ ორივე სათასო მატჩი ორივეჯერ ერთნაირი ანგარიშით (1:0) მოუგო. ხოლო ტამკენტში საჩემპიონატო შეხვედრა წაგო დიდი სხვაობით (0:3).

ცხადია, თბილისელები სარეგანშო განწყობილებით გამოვიდოდნენ მინდორზე და შეეცდებოდნენ სრულიად ახალი, ყოველ შემთხვევაში ტაშკენტელებისათვის არცთუ მოსალოდნელი გეგმით თამაშის აწყობას. ასეც მოხდა. „დინამო“ ეერშების განვითარებას შორი მანძილიდან ყიფიანის ზუსტი გადაცემებით იწყებდა.

ამ ტაქტიკამ ტაშკენტელები ერთობ ძმიმე მდგომარეობაში ჩააყენა, დროის დიდ ნაწილს კარის უფრეზელყოფას ანდომებდნენ და, ცხადია, იშვიათად ეძლეოდათ კონტრიერიშების წამოწყების საშუალება.

ასეთ ვითარებაში გუცაევს და შენგელიას კარის აღების რამდენიმე საუკეთო შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ საკმაოდ უკან დახეული ფორვარდის — ყიფიანის ზუსტად და უაღრესი ოსტატობით შესრულებულ გადაცემებს ნაყოფი არ მოპყოლია. მეტოქე საკუთარ კარს მიეჯაჭვა და, მოჭადრაკეები რომ იტყვიან, „დინამომ“ სწორედ ამ დროს სრულიად ახალი ხვლა გააკეთა: გ. მაჩაიძის მარცხენა ფლანგის მიმართულებით წამოწყებული რეიდი მარჯვენა ფლანგზე გუცაევის მისამართით ზუსტი გადაცემით დამთავრდა. ამ უკანასკნელმა კი კარის სიახლოვეს ჩაჭიკიდა ბურთი და შენგელიას თავური დარტყმის მერე ანგარიში გაიხსნა — 1:0.

მეორე ტაიმში ტრავმის გამო ყიფიანს არ უთამაშია. ამჯერად თბილისის „დინამომ“ ეერშების ახალ ნაირსახეობებს მიმართა, რომელთაგან ოთი სულ ოადაც ოთხოდე წუთში მეტოქეთა კარის ვირტუოზული ალებით დამთავრდა: ორივეჯერ გოლის ავტორი გახლდათ დარასელია.

დინამოელებს არცთუ ამგვიათად და არც უსაფუძვლოდ ეუკიეენებთ. რომ მათი ფორვარდები საგოლო მომენტებს საკმარისად ვერ იყენებენ, მატჩების მსვლელობისას გუნდი დროდადრო დაბალი სისწრაფით მოცდომები მოუვიდა. მისმა 56-ე სვლამ, პრაქტიკულად, პარტიის ბედი გადაწყვიტა. თეთრი მეფე მოუგერიებელი იერიშის ქვეშ მოექცა და 62-ე სვლაზე კარპოვმა გაიმარჯვა.

ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ განახლდა ბრძოლა მეთოთხმეტე პარტიაშიც, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით იყო გადადებული. კარპოვს სულ 9 სვლა დასჭირდა ამ პარტიის მოსაგებად:

42. gh gh 43. c4 ga2 44. ეb6 მf7 45. c5 ga4 46. c6 მge6 47. c7 მgd7 48. ეb8 ec8 49. მge3 ეh4 50. e6+ და შავები დანებდნენ.

ამრიგად, გადადებული პარტიების დამთავრებისას მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო ორივე შეხვედრა და დაწინაურდა ანგარიშით 3:1.

მორიგი, მეთხუთმეტე პარტია 22 აგვისტოსათვის არის დანიშნული.

3:1 კარპოვის სასარგებლოდ

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

გაგიო. (საკადრო). მსოფლიო პირველობაზე ატჩის მეთოთხმეტე პარტია გადაიღო მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვისათვის მოგების შანსებით.

აი ამ პარტიის ჩანაწერი:

კარპოვი-კორჩნოი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. gb5 a6 4. ga4 მf6 5. 0-0 მ:e4 6. d4 b5 7. gb3 d5 8. de ge6 9. c3 gc5 10. მbd2 0-0 11. gc2 gf5 12. მb3 gg4 13. h3 gh5 14. g4 gg6 15. g:e4 de 16. მ:c5 ef 17. gf4 ლ:d1 18. ga:d1 მd8 19. ed7 მe6 20. მ:e6 fe 21. ge3 gac8 22. efd1 ge4 23. gc5 gfe8 24. ed4 gd5 25. b3 a5 26. მgh2 ga8 27. მgg3 ga6 28. h4 ec6 29. e:d5 ed 30. e:d5 ec6 31. gd4 c6 32. ec5 gf8 33. a4 ba 34. ba g6 35. e:a5 gee8 36. ea7 ef7 37. ga6 ec7 38. gc5 ecc8 39. gd6 ga8 40. e:c6 e:a4 41. მg:f3 h5.

ამ მდგომარეობაში მსოფლიოს ჩემპიონმა ჩაიწერა მორიგი სვლა.

მეცამეტე პარტია შეწყვეტილი იყო ასეთი პოზიციაში:

კორჩნოი (თეთრები): მgg1, ლc4, ga2, gg2, მd3, a3. d4, e3, f2, h3. **კარპოვი** (შავები): მgg8, ლf5, ed6, ef7, gg7, a3. c6, g6, h6. თეთრებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

ბრძოლა ასე განახლდა: 41. ea7 (ჩაწერილი სვლა) ed! 42. e:f7 e:f7 43. d5 ge5 44. dc მgg7 45. ge4 ლg5+ 46. მgf1 gd6 47. gd5 ee7 48. gf3 h5 49. gd1 ლf5 50. მge2 ee4 51. ლc3+ ლf6 52. ლb3 ლf5 53. ლb7+ ee7 54. ლb2+ მgh7 55. ლd4 gc7 56. ლh4 ee4 57. f4 gb6 58. gc2 e:e3+ 59. მgd2 ga5+ 60. მgd1 ga1+ 61. მgd2 ee4 და პრტენდენტი დანებდა.

ამ პარტიის დამთავრებას დიდი ინტერესით ელოდნენ. მისი გადადების წინ პრეტენდენტმა ხარისხი შესწირა, შეტევა მიიღო და, ეტყოველმა ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ იგი მოიგებდა. მაგრამ ამასთან ერთად დაბალ ბრძოლის შემდეგ პრეტენდენტმა ჩაწერილ სვლაზე 40 წუთი იფიქრა. ახლა მას მომდევნო 15 სვლა 20 წუთში უნდა გაეკეთებინა.

44-ე სვლაზე თეთრებმა მოიგეს პიაკი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი დაბალ ჯერებლად თამაშობდა. მისმა ფიგურებმა აქტიური პოზიცია დიკავეს.

ეპიტნოტმა პრეტენდენტს შესაძლებლობა მისცა, ეს ბოლო ორი ფიგურა ერთ-ერთ ფიგურაზე ეთამაშა.